

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ იურიდიული პირების ინტერნეტბანკით სარგებლობის პირობები

1. იურიდიული პირების ინტერნეტბანკის ფუნქციები

ინტერნეტბანკი საშუალებას იძლევა უსაფრთხოდ და კომფორტულად, ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტზე მიგიწვდებით ხელი, online რეჟიმში, ყოველგვარი რიგში დგომისა თუ სხვა უსიამოვნო პროცედურების გვერდის ავლით მართოთ თქვენი ანგარიშები, მიიღოთ ინფორმაცია ტრანზაქციებსა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ, შეასრულოთ გადარიცხვები, გადაიხადოთ კომუნალური და სხვა მომსახურების საფასური, მიიღოთ ინფორმაცია სესხებსა, დეპოზიტებზე და ა.შ.

იურიდიული პირების ინტერნეტბანკი განკუთვნილია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ მიმდინარე ან საბარათე ანგარიშის მქონე შემდეგი პირებისათვის: რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირი და მისი ფილიალი, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, პოლიტიკური პარტია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაცია (ცენტრალურ ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაცია), დიპლომატიური და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ფილიალები, წარმომადგენლობები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობას არ ახორციელებენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ინდივიდუალური მეწარმე და მეწარმე ფიზიკური პირი, რომლებსაც ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშ(ებ)ი სამეწარმეო მიზნით (შემდგომ „კლიენტი“).

2. ინტერნეტბანკის საშუალებით თქვენ შეძლებთ:

- საკუთარი საბანკო ანგარიშების ნახვას, ამონაწერის გაკეთებას და ამობეჭდვას;
- გადარიცხვების შესრულებას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში;
- კომუნალური ან სხვა გადასახადების გადახდას და თემატურად დაჯგუფებას;
- საპატრულო და პარკირების ჯარიმების გადახდას, საშვების შეძენას;
- ნებისმიერი შესრულებული ტრანზაქციის ნახვას და ამობეჭდვას;
- გადარიცხვის და გადახდის შაბლონების შექმნას;
- ჯგუფური გადარიცხვების განხორციელებას;
- სახაზინო გადარიცხვების შესრულებას;
- ბიზნეს პლასტიკურ ბარათებზე სრული ინფორმაციის მიღებას და ოპერაციების შესრულებას;
- დეპოზიტებისა და სესხების მართვას, მათზე ინფორმაციის მიღებას;
- სავალუტო კურსების ნახვას (ეროვნული ბანკის ოფიციალური, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კომერციული);
- ვალუტის კონვერტაციის ოპერაციების შესრულებას სტანდარტული/ინდივიდუალური გაცვლითი კურსით;
- ბარათის ვალუტის პრიორიტეტის შეცვლას და ბარათის დაბლოკვა/განბლოკვას;
- ანგარიშის რეკვიზიტების ამობეჭდვას;
- ანგარიშის დასახელების შეცვლას;
- მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეცვლას;
- ინტერნეტბანკის მომხმარებელთა დამატებას, მათი მონაცემების ცვლილებას, მათთვის შესაბამისი უფლებებისა და ლიმიტების მინიჭებას;
- მომხმარებლებისთვის როლების განსაზღვრას (ერთ ჯგუფში გაერთიანებას, გარკვეული ნიშნით, მაგ. ბუღალტერი, დირექტორები);
- ხელმოწერის სქემების შექმნას, არსებულის ცვლილებას, სქემების შესაბამისად ტრანზაქციების განხორციელებას;
- პირადი პარამეტრების მართვას;
- ბანკში შეტყობინების (მათ შორის სერთიფიკაციას დაქვემდებარებული) გაგზავნა/მიღებას.

3. ინტერნეტბანკში რეგისტრაცია

- 3.1. იურიდიული პირების ინტერნეტბანკზე რეგისტრაციისთვის უნდა მოზრმანდეთ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში, სადაც თქვენ მიიღებთ ინტერნეტბანკში შესვლისთვის საჭირო მომხმარებლის სახელს და ერთჯერად პაროლს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინტერნეტბანკზე რეგისტრაციის განაცხადის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. კერძოდ, პირს, რომელიც კანონის ან შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, უფლებამოსილია წარმოადგინოს კლიენტი მესამე პირებთან და განახორციელოს უფლებები, რომლებსაც მოიცავს იურიდიული პირების ინტერნეტბანკი. მაგ: დირექტორი, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირი, რწმუნებული.
- 3.2. ინტერნეტბანკზე რეგისტრაციისას განისაზღვრება კლიენტის არხები: ინტერნეტბანკი ან/და მობაილ ბანკი.
- 3.3. ინტერნეტბანკზე რეგისტრაციისას განისაზღვრება კლიენტის უფლებები.
- 3.4. ინტერნეტბანკით შესაძლოა კლიენტს გაუაქტიურდეს თვითმართვის უფლება. ეს უფლება არის შესაძლებლობა დისტანციურად (ბანკში ვიზიტის გარეშე) დაემატოს, დაიბლოკოს, გააქტიურდეს ან გაუქმდეს მომხმარებლები, შეიქმნას, შეიცვალოს, დაიბლოკოს ან გააქტიურდეს ხელმოწერის სქემები. თვითმართვის უფლების გააქტიურება, მასში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის უშუალოდ ბანკში გამოცხადების გზით.
- 3.5. ინტერნეტბანკში მომხმარებლისათვის (ფიზიკური პირი) უფლებების მინიჭება ხორციელდება წინამდებარე პირობების მე-4 მუხლის შესაბამისად.
- 3.6. მომხმარებლის სისტემაში შესვლისა და სერთიფიკაციის შესაძლო მეთოდები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების მე-5 და მე-9 მუხლების შესაბამისად.
- 3.7. ინტერნეტბანკი შესაძლებლობას გაძლევთ განსაზღვროთ მომხმარებლის როლი (პოზიცია), მაგ: დირექტორი, ფინანსისტი, ბუღალტერი და ა. შ. როლი შესაძლებელია მიენიჭოს როგორც ერთ, ისე რამოდენიმე მომხმარებელს. როლზე მიკუთვნებული მომხმარებლების რაოდენობა არ არის შეზღუდული. როლები ხელმოწერის სქემის მართვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა და უზრუნველყოფს მის შეუფერხებლად მუშაობას. მაგ. იხ. წინამდებარე პირობების 6.10 პუნქტი.
- 3.8. მომხმარებლად შესაძლებელია განისაზღვროს როგორც ვერიფიცირებული მომხმარებელი, აგრეთვე ლოკალური მომხმარებელი.
- 3.9. ვერიფიცირებულია მომხმარებელი, რომელიც უკვე სარგებლობს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ინტერნეტბანკით. აღნიშნული მომხმარებელი, იურიდიული პირის ინტერნეტბანკში დარეგისტრირებას შეძლებს მომხმარებლის არსებული სახელით და პაროლით. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი ნებისმიერი (როგორც ფიზიკური პირის ისე იურიდიული პირის) ინტერნეტბანკის გამოყენებისას, ისარგებლებს ერთი და იგივე მომხმარებლის სახელით და პაროლით და უსაფრთხოების ელემენტით (დიჯიტალური).
- 3.10. ლოკალურია მომხმარებელი, რომელიც იურიდიული პირის ინტერნეტბანკში მომხმარებლად რეგისტრაციამდე არ სარგებლობს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ინტერნეტბანკით.

4. მომხმარებლის უფლებები

4.1 მომხმარებელს შესაძლოა მიენიჭოს 3 ტიპის უფლებამოსილებიდან ერთ - ერთი (Full admin, Standard, Passive) ან კლიენტის სურვილის შესაბამისად, მიენიჭოს სხვა უფლებები.

- **Full admin (ადმინისტრირების უფლება)** - მომხმარებელს ენიჭება მხოლოდ მაშინ, თუ კლიენტს გააქტიურებული აქვს თვითმართვის უფლება. ადმინისტრირების უფლება მომხმარებელს საშუალებას აძლევს: შექმნას, დაადასტუროს (განახორციელოს სერტიფიკაცია), დაათვალიეროს ანგარიშთან დაკავშირებული დავალებები, ბანკში ვიზიტის გარეშე დაამატოს, დაბლოკოს, გააქტიუროს ან გააუქმოს მომხმარებლები, შექმნას, შეცვალოს, დაბლოკოს ან გაააქტიუროს ხელმოწერის სქემები. ადმინისტრირების უფლება ენიჭება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ან სხვა მომხმარებელს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სურვილის შესაბამისად.
- **Standard** - მომხმარებელს საშუალებას აძლევს შექმნას, დაათვალიეროს, და დაადასტუროს დავალებები.
- **Passive** - მომხმარებელს აქვს მხოლოდ ანგარიშების დათვალიერების უფლება.

4.2. მომხმარებელს ვერ გაუაქტიურდება ის უფლება, რომელიც კლიენტს არ აქვს გააქტიურებული.

5. სისტემაში შესვლის და სერტიფიკაციის მეთოდები

5.1. სისტემაში შესვლისა და სერტიფიკაციის (დადასტურების) მეთოდებს ირჩევთ სურვილისამებრ.

5.2. სისტემაში შესვლის პარამეტრებია:

- მომხმარებლის სახელი /პაროლი/ერთჯერადი SMS (OTP) კოდი ან
- მომხმარებლის სახელი /პაროლი/ „HW“ & “SW” DigiPass (OTP) კოდი

5.3. სერტიფიკაციის საშუალებებია:

- ერთჯერადი SMS (OTP) კოდი ან
- “HW” & “SW” DigiPass (OTP) კოდი

5.4. სისტემაში შესვლისა და სერტიფიკაციის საშუალება - ერთჯერადი SMS (OTP) კოდი (One Time Password-OTP) გენერირდება სისტემის მიერ და იგზავნება ინტერნეტბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

5.5. ერთჯერადი SMS (OTP) კოდზე უფრო მაღალი დონის დაცვის სისტემაში შესვლისა და სერტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს DigiPass (OTP) კოდი.

5.6. არსებობს ორი სახის დიჯიპასი (იგივე „DigiPass“) - Hardware (იგივე “HW”) და Software (იგივე “SW”).

5.7. „HW“ Digipass ფიზიკური მოწყობილობაა და გადმოგეცემთ ბანკის გაყიდვის წერტილებში ხელმოწერილი განაცხადის საფუძველზე. დაზიანების ან დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისი პირის განცხადების საფუძველზე, ბანკთან ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მოწყობილობა უბრუნდება ბანკს. დიჯიპასის დაკარგვის შემთხვევაში, შესაბამისი პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს ბანკს, რათა მოხდეს აღნიშნული მოწყობილობის დაბლოკვა/გაუქმება.

5.8. SW Digipass მობაილ ბანკში ინტეგრირებული აპლიკაციაა.

5.9. მომხმარებლისთვის სისტემაში შესვლის ან/და დადასტურების საშუალებად SW Digipass განსაზღვრა შესაძლებელია ბანკში ოპერატორის მიერ ან Full admin მომხმარებლის (ადმინისტრირების უფლების მქონე მომხმარებლის) მიერ ონლაინ, რომელსაც შემდგომ, მომხმარებელი ააქტიურებს მობილურ ტელეფონში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მობაილ ბანკის საშუალებით.

5.10. მობაილბანკინგის შემთხვევაში, სისტემაში შესვლისა და სერტიფიკაციისთვის ასევე დაშვებულია ბიომეტრია (თითის ანაბეჭდი, Face ID) და პასკოდი.

6. ხელმოწერის სქემები

6.1. ხელმოწერის სქემა მოიცავს, მომხმარებლების მიერ, კლიენტის ანგარიშებზე შექმნილი დავალებების, შეტყობინების, და სხვა ოპერაციების დამოწმების წესებს და პირობებს.

6.2. ხელმოწერის სქემა შესაძლოა შეიქმნას ინდივიდუალურად თითოეული ოპერაციისთვის/ ანგარიშისთვის ინდივიდუალური ხელმოწერების რაოდენობებით.

6.3. თუ განაცხადით არ არის განსაზღვრული ხელმოწერის სქემა, მომხმარებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს ანგარიშების განკარგვის უფლება, კერძოდ, FULL admin ან Standard, დამოუკიდებლად შეძლებს ანგარიშებზე დავალების შექმნას და ბანკში გამოგზავნას.

6.4. თუ შექმნილია ხელმოწერის სქემა, მაგრამ ის არ მოიცავს რომელიმე ოპერაციას, ეს ოპერაცია დაიბლოკება. არ დაიბლოკება მხოლოდ ისეთი ნაკლებად რისკიანი ოპერაციები როგორიცაა:

- საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვა
- კომუნალური გადახდა
- მობილურის შევსება
- პარკირების საშვები და ჯარიმები
- კონვერტაცია
- შეტყობინების გაგზავნა ბანკში.

6.5. ხელმოწერის სქემის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, სერთიფიკაციას დაქვემდებარებული ოპერაციები ვერ განხორციელდება.

6.6. რეკომენდებულია ხელმოწერის სქემა მოიცავდეს ყველა ოპერაციასა და ანგარიშს.

6.7. შესაძლებელია შეიქმნას ან ცვლილებები განხორციელდეს არსებულ ხელმოწერის სქემაში. ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ძველი სქემა წყვეტს მოქმედებას და ამოქმედდება ახალი (შეცვლილი) ხელმოწერის სქემა.

6.8. ხელმოწერის სქემაში მონაწილე მომხმარებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უნდა იყოს აქტიური
- მინიჭებული უნდა ჰქონდეს წვდომა მინიმუმ ერთ დისტანციურ არხთან (ინტერნეტბანკი, მობაილბანკი)

6.9. სქემაში შესაძლებელია დაბლოკილი მომხმარებლის დამატება, მაგრამ აღნიშნული სქემა ამოქმედდება მომხმარებლის განბლოკვის შემდეგ.

6.10. სქემაში ხელმომწერებად შეიძლება განისაზღვროს როგორც კონკრეტული მომხმარებლები, აგრეთვე შექმნილი როლები. როლის მითითების უპირატესობა არის ის, რომ ერთი და იგივე როლის მქონე ერთ-ერთი ხელმომწერი მომხმარებლის არყოფნის შემთხვევაში, იმავე როლის მქონე სხვა ხელმომწერი მომხმარებელი შეძლებს დაადასტუროს შესაბამისი დავალება თუ განაცხადით განსაზღვრული ხელმომწერთა რაოდენობა იძლევა ამის შესაძლებლობას.

6.11. ხელმოწერის სქემაში შესაძლებელია განისაზღვროს ხელმომწერების საჭირო რაოდენობა, აგრეთვე შესაძლებელია ხელმოწერებზე გააქტიურდეს რიგითობის კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, 3 ხელმომწერის არსებობისას, დავალების დადასტურება მოხდება რიგითობის მიხედვით: ხელმომწერი 1, ხელმომწერი 2 და ა.შ.

6.12. შესაძლებელია განისაზღვროს ხელმოწერის სქემის მოქმედების ვადა. ვადის გასვლის შემთხვევაში, სქემა წყვეტს ფუნქციონირებას, მისი ავტომატური განახლება არ ხდება.

6.13. ხელმოწერის სქემა შესაძლებელია შეიქმნას შემდეგ ოპერაციებზე:

- რეგულარული გადარიცხვა
- Direct debit მოთხოვნა
- სახაზინო გადარიცხვა
- სხვის ანგარიშზე გადარიცხვა
- კომუნალური გადახდები
- მობილური ბალანსის შევსება
- გაგზავნილი შეტყობინებები
- მომხმარებლების მართვა
- მომხმარებლის გააქტიურება
- ავტორიზაციის სქემები
- ავტორიზაციის სქემის აქტივაცია

- ავტორიზაციის სქემის დეაქტივაცია
- კონვერტაცია
- სიით გადარიცხვა

6.14. ხელმოწერის სქემის შექმნისას შესაძლებელია განისაზღვროს ხელმოწერას დაქვემდებარებული ანგარიშები.

6.15. ხელმოწერის სქემაში განისაზღვრება ერთჯერადი ტრანზაქციის, დღიური ან თვიური თანხობრივი მოცულობის ლიმიტებიდან ერთ-ერთი. ლიმიტი შესაძლებელია დაწესდეს ლარში, აშშ დოლარში, ევროსა და რუბლში. ლარის თანხობრივი ლიმიტის მითითების შემთხვევაში, ამავე სქემაში ტრანზაქციის ვალუტის ლიმიტის განსაზღვრა მოხდება ლარის ექვივალენტით საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

7. თვითმართვის სქემა

7.1. მომხმარებლის თვითმართვის უფლების შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის, საჭიროა ბანკში დარეგისტრირდეს თვითმართვის სქემა. თვითმართვის სქემა გულისხმობს კლიენტის მიერ მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებების დამატების/ცვლილების/ბლოკირების/გააქტიურების შესაძლებლობას, ასევე სხვა ხელმოწერის სქემის შექმნას, არსებული სქემაში ცვლილების შეტანას, ბლოკირებას, გააქტიურებას. თვითმართვის სქემის შექმნა ხდება უშუალოდ ბანკში. ადმინისტრირების უფლების მქონე მომხმარებელს დისტანციურად (ინტერნეტბანკით) შეუძლია შექმნას ყველა სახის სქემა გარდა თვითმართვის სქემისა.

7.2. თვითმართვის სქემა გულისხმობს სქემების აგებას შემდეგ ოპერაციებზე:

- მომხმარებლების მართვა
- მომხმარებლის გააქტიურება
- ავტორიზაციის სქემები
- ავტორიზაციის სქემის აქტივაცია
- ავტორიზაციის სქემის დეაქტივაცია

8. სტანდარტული პარამეტრები

8.1. მომხმარებლის პარამეტრების (მომხმარებლის სახელი/პაროლი) არასწორად შეყვანის მესამე მცდელობის შემდეგ სისტემაში მომხმარებელი იბლოკება;

8.2. მომხმარებლის ბლოკის მოხსნა - 30 წუთის შემდეგ;

8.3. მომხმარებლის სისტემაში აქტივობის შემთხვევაში სესიის ვადა შეუზღუდავია;

8.4. მომხმარებლის სისტემაში უმოქმედობის შემთხვევაში სესიის ამოწურვის ვადაა 15 წუთი;

8.5. მომხმარებლის სახელის კონსტრუქციის მოთხოვნები - უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 ნიშნისგან. მათ შორის, უნდა მოიცავდეს ციფრებს და სიმბოლოებს;

8.6. მომხმარებლის პაროლის კონსტრუქციის მოთხოვნები - უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 ნიშნისგან. მათ შორის, უნდა მოიცავდეს ციფრებს და სიმბოლოებს.

9. ტრანზაქციის ლიმიტები

სერთიფიკაციის მეთოდის შესაბამისად, ტრანზაქციებზე დადგენილია შემდეგი ლიმიტები:

- SMS OTP - 1, 000,000 ლარი (1 მლნ)
- Digipass OTP - 10,000,000 ლარი (10 მლნ)
- Passcode + trusted device - 100,000 ლარი (მოზაილ ბანკი)
- Biometrics + trusted device -100,000 ლარი (მოზაილ ბანკი)

მაგ: თუ თქვენ ერთჯერადად გეგმავთ 1,000,000-დან 10,000,000-მდე (ან მისი ექვივალენტი) ფარგლებში თანხის გადარიცხვას აუცილებელია სარგებლობდეთ Digipass-მოწყობილობით.

ინტერნეტბანკთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან დეტალს შეგიძლიათ გაეცნოთ სს“ ვითიზი
ბანკი ჯორჯიას“ ვებგვერდის მისამართზე www.vtb.ge